საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

23/12/2025

MES 1 25 0001848909

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის №1066550 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო, ,,ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, 4.4 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა", რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და ნაცვლად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. ამ ცვლილებამ არ გამოიწვია თავად სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 9 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო, ,,ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 23 დეკემბრის სხდომის №1848933 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 9 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე